

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი  
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL  
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრო  
AGRO  
АГРО  
NEWS

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси  
2016

**ქურნალი წარმოადგენს**  
**იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის**  
**პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას**

**სარედაქციო კოლეგია:**

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

**წევრები:** ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კველიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

**სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:**

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკასი ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

**The magazine is a periodical scientific publication of**  
**Imereti Agro-ecological Association and**  
**Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

**EDITORIAL BOARD**

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

**Members:** Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shpakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

**FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD**

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет**  
**Периодическое научное издание**  
**Союза агроэкологической ассоциации Имерети и**  
**Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

**Члены:** Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

**ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)



**შინაარსი**

**1 აგარული მეცნიერებანი**  
**AGRICAL SCIENCES**  
**АГРАРНЫЕ НАУКИ**

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,  
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე  
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) \_\_\_\_\_ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’  
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION  
 METHODS** \_\_\_\_\_ 13

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემოგებაში ინვესტიციების  
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია  
 \_\_\_\_\_ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს \_\_\_\_\_ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის  
 ანალიზის შედეგები \_\_\_\_\_ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს  
 მღვთმარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის  
 პრობლემები \_\_\_\_\_ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა  
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე  
 საძირე ვაზით \_\_\_\_\_ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის  
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა  
 სამებრელოს რეგიონის პირობებში \_\_\_\_\_ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)  
 აღმოსავლეთ საქართველოში \_\_\_\_\_ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,  
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების  
 ხელოვნური დასენიანების შედეგები \_\_\_\_\_ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –  
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ  
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ  
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА** \_\_\_\_\_ 59



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ქანგვითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფიანების უნარი	72
<b>Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS</b>	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლეობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მქანნიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
<b>Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS</b>	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
<b>Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION</b>	128



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩანის 50%-იანი წყლიანი ექსტრაქტის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე \_\_\_\_\_ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში \_\_\_\_\_ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში \_\_\_\_\_ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია \_\_\_\_\_ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში \_\_\_\_\_ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები \_\_\_\_\_ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით \_\_\_\_\_ 157

**2 ბიზნესის ადმინისტრირება**  
**BUSINES ADMINISTRATION**  
**АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА**

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვდომარეობა იმერეთის რეგიონში \_\_\_\_\_ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად \_\_\_\_\_ 169

**3 ინჟინერია**  
**ENGINEERING**  
**ИНЖЕНЕРИЯ**

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში \_\_\_\_\_ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა \_\_\_\_\_ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეშაბის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამოდვრები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე \_\_\_\_\_ 186



**4** **მულტიდისციპლინარული დარგები**  
**MULTIDISCIPLINARY BRANCHES**  
**МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ**

**Изоolda Хасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ  
РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ \_\_\_\_\_ 195**

**სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-  
რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში \_\_\_\_\_ 202**

**გიორგი ჯაბნიძე – აბრტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის  
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში \_\_\_\_\_ 207**





# 2 ბიზნესის ადმინისტრირება BUSINES ADMINISTRATION АДМИНИТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА





**საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის უმრავლესობისთვის**

**დალი სილაგაძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

*საკვლევი თემა ეძღვნება საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონების ფერმერებს. შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები რეგიონებში, რომლის ძირითადი მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრა, ოპერატიული ინფორმაციის მიღება-დამუშავება. სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაციის გაცემა და მონიტორინგი. ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება-ანალიზი. სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით. სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება.*

ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა აღნიშნული ზრდა თანაბრად როდი შეეხო საქართველოს მთლიან მოსახლეობას. მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს სოფლად და მათთვის საარსებო წყაროს მცირე ფერმერული საქმიანობა წარმოადგენს. დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მძაფრად მოქმედებს ახალგაზრდებზე, რომლებიც შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს მხოლოდ ემიგრაციაში ხედავენ. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. აღინიშნა, რომ მთავარ გამოწვევად რჩება სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული დაბალი პროდუქტიულობის გაზრდა, რასაც თავის მხრივ, მოჰყვება ქვეყნის თვითმყოფადობისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება.

აქედან გამომდინარე, შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები რეგიონებში, რომლის ძირითადი მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრა-ოპერატიული ინფორმაციის მიღება-დამუშავება. სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაციის გაცემა და მონიტორინგი. ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშა-





ვება-ანალიზი. სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით. სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება. სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება. სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება. მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური შეფასება (გამოყენებული წარმოების საშუალებებზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით) და დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციის გაცემა. ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მათი სპეციფიკაციის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა. აღებული მოსავლის შენახვის პირობებისა და ვადების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციების გაწევა. საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წლის განმავლობაში აუცილებელი ვეტერინარული და სანიტარული ღონისძიებების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა. მერძეული და მეხორცეული მიმართულების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლის ზრდის და სტაბილურად შენარჩუნების მიზნით საკვები რაციონის შესახებ რეკომენდაციების გაცემა. სხვადასხვა ტრენინგების, სწავლებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა. ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია მათი დანერგვის მიზნით. სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსტენციის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა. კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილი საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება. კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და კოორდინირებული საქმიანობა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

ამ დროისათვის რაიონულ დონეზე შექმნილია 59 რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი. ისინი ფერმერებს საუკეთესო გამოცდილებების, ახალი ტექნოლოგიების, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და შესაბამის ტრენინგებს სთავაზობენ.

უდავოა, რომ საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების ადგილობრივ დონე-



ებზე ჩამოყალიბებამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მომავალშიც შეასრულებს ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნული დასტურდება, როგორც ობიექტური შედეგებით, ასევე უშუალოდ ბენეფიციარი ფერმერების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების და აგრარული სფეროს ექსპერტების მიერ. ტერიტორიული სამსახურები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კუთხითაც.

ფერმერების მოსაზრებით, საკონსულტაციო სამსახურების უფლება–მოვალეობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის კონსულტაციისა და ინფორმაციის მიღება. ფერმერები უმეტეს შემთხვევაში იღებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას და მეორეს მხრივ, სამსახურები ასევე კარგად ართმევენ თავს ისეთ ამოცანას, როგორცაა ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვა და ადგილობრივ ფერმერებს აწვდიან ინფორმაციას და არწმუნებენ ექსტენსიური მეთოდების გამოყენების შესახებ.

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ საკონსულტაციო–საინფორმაციო სამსახურთან აქვს ხშირი შეხება, გადიან კონსულტაციებს სხვადასხვა კულტურებთან დაკავშირებით, ასევე თესლთან დაკავშირებით–თუ რომელი სჯობს, რომელია უკეთესი. თვითონ სამსახური კი სთავაზობთ სხვადასხვა ჯიშებს, თუმცა დისკუსიაც ხშირად ყოფილა. ასევე მოუძებნიათ ესა თუ ის ტექნიკა. სასათბურე მეურნეობებს კი შესთავაზეს შესაწამლი, ეფექტური წამალი.

მაგრამ პრობლემა ჩნდება როცა უნდა იმოქმედონ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, როცა იწყება დოკუმენტების მომზადება და ბიუროკრატიული პროცესების გავლა, აქ კიდევ ფერმერებს არ ყოფნით ცოდნა და კვალიფიკაცია თუ როგორ უნდა მოამზადონ ესა თუ ის დოკუმენტი და ჩაერთონ პროცესში. ამ დროს სწორედ საკონსულტაციო სამსახურებია ის რგოლი, რომელიც მათ ძლევთ საშუალებას ერთის მხრივ მიიღონ ინფორმაცია არსებული ინციატივის შესახებ, მეორე მხრივ კი პრაქტიკულად დააკვალიანოს თუ როგორ უნდა იმოქმედონ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებებია, რაშიც ფერმერებს კონსულტაციები ჭირდებათ: მესაქონლეობა, მეცხოველეობა, ს/მ სამინისტროს პროგრამები, მეფუტკრეობა, მევენახეობა, კოოპერატივი, ნიადაგის ანალიზი, თხილის მოყვანა, მემცენარეობა, მექანიზაცია, მავნებლებთან ბრძოლა/შხამ–ქიმიკატები. საგულისხმოა, რომ ბენეფიციარი ფერმერები, მიუთითებენ, რომ ძალიან კმაყოფილები არიან მიღებული მომსახურებით. ისინი სამსახურიდან იღებენ კონსულტაციებს, ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა სპეციალისტების ჩამოყვანა და შესაბამისი რჩევების მიღება.

ამდენად, სამსახურების ფუნქციებიდან გამოყოფილია ორი ძირითადი მიმართულება: 1. სასოფლო–სამეურნეო კულტურების განაშენიანება მოვლისთანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა; 2. ცხოველთა მოვლა–მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მათი



დანერგვის მიზნით;

მიმდინარე ეტაპზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ამოცანები ნაწილობრივად შესრულებული და საჭიროებს კიდევ დამატებითი ძალისხმევის გაწევას სხვადასხვა მხარეების მხრიდან. დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამსახურის წარმომადგენლებს აქვთ შეზღუდული რესურსები სიახლეების დანერგვის ხელშეწყობისათვის. შესაბამისად, აუცილებელია კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით. რაც შეეხება ფერმერებს, მათი ნაწილი მზადაა დანერგოს თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, ნაწილი კი უკვე პროცესშია და ასეთები ხაზგასმით მიუთითებენ სამსახურების განსაკუთრებულ როლზე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უშუალოდ სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მოხდა კონკრეტული ახალი მიმართულებების ათვისება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურების მიერ თავმოყრილი ინფორმაცია ნამდვილად მნიშვნელოვანია, როგორც საჯარო სექტორისათვის, ასევე საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას ექსტენციის დანერგვა წარმოადგენს. ამ კუთხით კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

და ბოლოს, დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ: საჭირო და აუცილებელია ადგილობრივ სამსახურებში საშტატო ერთეულების გაზრდა, ვიწრო სპეციალიზაციის კონსულტანტების პერიოდული მივლინება სამსახურებში. ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლების მინიმალური ტექნიკით აღჭურვა. ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ინტენსიობის გაზრდა და მეტი ფოკუსირება ადგილობრივ პრიორიტეტულ დარგებზე. სადემონსტრაციო ნაკვეთების, სასწავლო ფერმების შექმნის ხელშეწყობა და ფერმერთა ვიზიტების ინტენსივობის გაზრდა. კოორდინაციის დონის გაზრდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებს შორის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სამსახურების მეტი ჩართულობა. ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის გადახედვა და გარკვეული სისტემების ჩამოყალიბება. ბიზნეს კონსულტაციების კომპონენტის და მარკეტინგული ფუნქციების ეტაპობრივად დამატება და გაძლიერება. მედია საშუალებების აქტიურად გამოყენება, მათ შორის ადგილობრივი მედიის. საინფორმაციო აგრარული ვებ-პორტალის მომზადება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. People in Need-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.2015. Pin საქართველო. გვ.6
2. ENPARD-ძლიერი სოფელი უკეთესი ცხოვრებისათვის-საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესება. [WWW.ENPARD.GE](http://WWW.ENPARD.GE) 2016. გვ.11
3. ENPAR – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სერვისების შეფასების კვლევის ანგარიში 2016.



## **INFORMATION AND CONSULTING SERVICES TO SUPPORT FARMERS IN THE REGION**

**Dali Silagadze**

Doctor of Business Administration, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### **Summary**

The topic is devoted to the information and consulting services for supporting farmers in the region. There have been made information and consulting services in the regions, which aims at gathering information and analysis, to create renewable and complete informational base, the determine estimated crop preliminary, to receive and process operational information. To take active part in the target projects implemented by the ministry, to give advice and monitoring. To collect, process and analyse information on prices of agricultural products as well as value of means of production in the local market. To study potentiality of the warehouse and processing plants according to primary productions of plant-growing and cattle breeding.

Timely informing of the ministry on problems in agricultural field and current situation.

The purpose of our research was to study work, positive and negative sides, of consulting and information services at a regional level, and to make proper conclusions.

## **ПОДДЕРЖКА ИНФОРМАЦИОННО-КОНСУЛЬТАТИВНЫХ СЛУЖБ ФЕРМЕРАМ РЕГИОНА**

**Силагадзе Дали**

Доктор управления бизнесом, Ассоциированный профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

### **Резюме**

Исследуемая тема посвящена поддержке информационно-консультативных служб фермерам регионов. Созданы информационно- консультативные службы в регионах, основная цель которых - сбор и анализ информации, создание совершенно обновленной информационной базы, предварительное определение предполагаемого урожая, получение и обработка оперативной информации, активное участие в подборе осуществленных Министерством целевых проектов, предоставление консультаций и мониторинг. Сбор, обработка и анализ информации о ценах на продукцию сельского хозяйства на местном рынке, а также о стоимости средств производства. Изучение имеющегося потенциала складских и перерабатывающих предприятий по продуктам первичного производства растениеводства и животноводства. Своевременное информирование Министерства о проблемах и создавшемся положении в сфере сельского хозяйства.